



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N3**

ქ. ლანჩხუთი

26. 01. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მუნიციპალიტეტის მკვიდრი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გურიის რეგიონული სამმართველოს ლანჩხუთის განყოფილების ხელმძღვანელი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და თავისი ქვეყნის პატრიოტი, ლანჩხუთის კოლორიტი შოთა ფირცხალაიშვილი. მან თავისი საქმიანობის პერიოდში ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. მისი დამსახურებაა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღს მიენიჭა აფხაზეთის ომში დაღუპული თამაზ ტყემელაშვილის სახელი. ასევე დაეხმარა ქალბატონ ფოთოლას საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში და დღეს ეს ოჯახი მთავრობისგან ყოველთვიურად 1000 ლარს იღებს. ბატონი შოთა ყურადღებას არ აკლებდა დაღუპული მეომრების ოჯახებს და ყველაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად. საკრებულოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დარაზში მყოფთ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ შოთა ფირცხალაიშვილის ხსოვნისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ, მერიიდან შემოვიდა რამოდენიმე პროექტი, რომლებიც ეხება მერიის დებულებაში და ბიუჯეტში ცვლილების შეტანაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, ასევე, მერიისთვის თანხმობის მიცემას ისეთ საკითხებზე, როგორცაა სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება და რეორგანიზაცია. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი - სერვისისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი ტექ-სერვისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

11. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

12. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

13. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

15. სხვადასხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილ იქნა პეტიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს და ზოგადად, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გააქტიურებულ იქნას პეტიციის ველი, სადაც მოხდება მისი ელექტრონულად ატვირთვა.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, ამ რეგლამენტის თანახმად ვინ წარადგენს ადგილობრივ ბიუჯეტს, რადგან დოკუმენტში მითითებულია „საკრებულოს თავმჯდომარე“ და არსად არ არის ნახსენები „მუნიციპალიტეტის მერი.“

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** განმარტა, რომ ეს ეხება კონკრეტულად პეტიციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამას გარდა, იგეგმება გარკვეული ცვლილებების

განხორციელება მთლიანად დოკუმენტში და ამჟამად მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი, ელისო ჭიჭინაძე.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ახალი რეგლამენტი ჯერ დამტკიცებული არ არის და საკრებულო ძველი რეგლამენტის მიხედვით მუშაობს. დეპუტატის თქმით, საჭიროა სასწრაფოდ დაიწყოს ამ მიმართულებით სამუშაო პროცესი, რომელშიც ჩაერთვება დაინტერესებული ადამიანები, მათ შორის საკრებულოს წევრი, ამირან გიგინეიშვილი, ვისაც საკითხთან დაკავშირებით გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N6 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ამასთან, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილება.

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში

„მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX$
 $ITL \times CX \times K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN=0,38 \times 1 \times 0,24 \times 100=9,12$.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N7 (26.01.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ირაკლი მარშანიშვილმა საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვითაც გამოთქვა სურვილი საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N8 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ირაკლი მარშანიშვილმა საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვითაც გამოთქვა სურვილი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N9 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა, ციცილო ჩხაიძემ საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვითაც გამოთქვა სურვილი საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, ემზარ თევდორაძე. ყოველივე აქედან გამომდინარე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N10 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი.

ამასთანავე, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე, გოგი მორჩილამე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N11 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2017 წლის 21 დეკემბრის N10028 განცხადებით მომართა საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, ნინო ჩიქოვანმა, რომელიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გურიის რეგიონალური სავაჭრო - სამრეწველო პალატის განსათავსებლად უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით ფართის გადაცემას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4

და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობა-ნაგებობიდან (1055.75 კვ.მ) მეორე სართულზე მდებარე 26.67 კვ.მ. ფართი (ს/კ N27.06.52.141)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას. ზემოაღნიშნული კორპორაციის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ ზრდას მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერით, რომლის განსახორციელებლად მას დაკისრებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N12 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციამ მოიწერა რედაქციული სახის გარკვეული შენიშვნები, რომელთა გაზიარების მიზნით საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N13 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის პროცესში დაგეგმილია კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სტრუქტურულიდან გამოიყოს ლანჩხუთის მ. ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, სუფსის სამუსიკო სკოლა და ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა, რომლებიც ჩამოყალიბდება ა(ა)იპ „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ ფორმით. აღნიშნული სტრუქტურულიდან სკოლათა გამოყოფა ხელს შეუწყობს ხსენებული იურიდიული პირების უკეთ მართვასა და მათდამი დაკისრებული ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, როგორ იქნება მუნიციპალურ ბიუჯეტთან მიმართებაში და რა აუცილებლობითაა გამოწვეული აღნიშნული რეორგანიზაცია.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ ბიუჯეტთან მიმართებაში დაიზოგება ფინანსური რესურსები და დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში მოხდება თანხის გამოყოფა. რაც შეეხება რეორგანიზაციის აუცილებლობას, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ლანჩხუთის მ. ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ლანჩხუთის სამხატვრო სკოლები აღსაზრდელებზე გაცემენ ატესტატებს,

რომლებზეც არის ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ბეჭედი. აქედან გამომდინარე, უფრო მართებულია, რომ ამ სკოლებმა იფუნქციონირონ სკოლის და არა გაერთიანებული ა(ა)იპ-ის სახით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N14 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩუთი - სერვისისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩუთი ტექ-სერვისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე ა(ა)იპ-ის ფუნქციები მოიცავს ისეთ მონათესავე სფეროს, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა (გარე განათება, გამწვანება, სისუფთავისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.), რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდება ხსენებული ორი იურიდიული პირის გაერთიანება ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს ფორმით და მასვე დაეკისრება ტრანსპორტის ერთიან სამარშრუტო ქსელში მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგი, წინადადებების წარმოდგენა რეგულირებად ავტოსატრანსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული ერთიანი მექანიზმის განხორციელებაზე (სახაზო-სატრანსპორტო დისციპლინის განმტკიცებისა და დამტკიცებული სამარშრუტო სქემიდან გადახვევის აღკვეთის მიზნით).

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა აღნიშნული ა(ა)იპ-ების გაერთიანების ფარგლებში სოფლებში წყლის მოვლა - პატრონობასა და აღდგენასთან დაკავშირებით შტატის გამოყოფა, რაზეც დიდი ხანია არის მოთხოვნა. მისი თქმით, ძალიან კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის მერი ამ საკითხს გაითვალისწინებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N15 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ერთი ადმინისტრაციის ფარგლებში მოხდება ყველა იმ მიმართულების გაერთიანება, რაც დღემდე ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას და რაც მთავარია, გაამარტივებს დაკისრებული ამოცანების განხორციელებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N16 (26.01.2018)**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხების რეგულირების ფუნქცია დაეკისრება ა(ა)იპ „ლანჩხუთი-კეთილმოწყობას“. ფუნქციების ნაწილი ასევე გაწერილია მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულებაში, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება; მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მოსახლეობის ინფორმირება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N17 (26.01.2018)

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანება“ არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი1“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) დაყოფის შედეგად წარმოწმნილი შემოქმედებითი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N18 (26.01.2018)

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1264761 ლარი. მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1201522 ლარს, თანადაფინანსება 63239 ლარს. შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს კაპიტალური ტრანსფერები 1201522 ლარით და არაფინანსური აქტივების კლება 63239 ლარით.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის ქუჩებისა თუ ობიექტების კონკრეტული ჩამონათვალი. მას ანალოგიური შენიშვნა ქონდა სტიქიის დროს დაზიანებულ ობიექტებთან

დაკავშირებით. საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ამის თაობაზე წერილით მიმართა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას. საკრებულოს წევრის აზრით, აუცილებელია მეტი კონკრეტიზაცია, რადგან სრულიად შესაძლებელია, რომ დეპუტატებს მოუხდეთ ამ კუთხით საკუთარი აზრის გამოთქმა.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, წარმოდგენილია პროექტები, რომლებიც ადგილობრივი საპროექტო სამსახურების მიერ გასულ წელს იქნა დაპროექტებული. რაც შეეხება შენიშვნას, მიღებულია და მას გამოსასწორებს შესაბამისი სამსახური.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N19 (26.01.2018)**

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა, **ირაკლი მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატ, ნინო წილოსანთან შეხვედრაზე მოსული გახლდათ სოფელ ნინოშვილის მკვიდრი, რიმა ჩხარტიშვილი, რომლის მეუღლე- ვალერიან სვანიძე ონკოლოგიური ავადმყოფია, ხოლო შვილი და შვილიშვილი დიაბეტით არიან დაავადებულები. ამას გარდა, ეს ქალბატონი უვლის უპატრონო მეზობელს-ლამარა სვანიძეს. ყველაფერ ამის მიუხედავად, ვალერიან სვანიძის ოჯახს არ ეძლევა არც სოციალური და ასევე მეზობლის მოვლისთვის საჭირო ფინანსური დახმარება. დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქნებ აღნიშნულ ოჯახს გაეწიოს გარკვეული დახმარება.

საკრებულოს წევრის თქმით, სოფელ ნინოშვილის მკვიდრ, შურა გოგუაძეს, რომელსაც მიმდინარე წელს უსრულდება 100 წელი, ესაჭიროება ინვალიდის ეტლი, რის თაობაზე თხოვნით მომართა ოჯახმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებსა და კომისიებში საუბარი იყო სოფლებში საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. დეპუტატი დაინტერესდა, ამ კუთხით როგორ განხორციელდება დაფინანსება - სრულად თუ ნაწილობრივ და მხოლოდ მაღალმთიანი რეგიონებიდან მოხდება ბავშვების ტრანსპორტირება, თუ ზოგადად, ყველა სოფლიდან, რადგან შრომისუბნიდან ჩამოსულები არიან მშობლები და საკითხთან დაკავშირებით სურთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრა.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრის, **ირაკლი მარშანიშვილის** განცხადებით, სოფელ კოკათს ორი თვეა არ მიეწოდება სასმელი წყალი, რადგან დაზიანებულია წყლის ტუმბო,

რომლის შეკეთებას ესაჭიროება დაახლოებით 300 ლარი. დეპუტატმა მოსახლეობის სახელით თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა შესაბამისი სამსახურების მიერ დროულად იქნას აღმოფხვრილი აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მისი გურიის გუბერნატორის მოადგილედ მუშაობისას, როცა მტკიცდებოდა რეგიონის პრიორიტეტები, ძალიან დიდი ძალისხმევა გაწია, რათა პროექტში ჩასმული ყოფილიყო გულიანი-ნინოშვილის დამაკავშირებელი გზა. კომუნისტური რეჟიმის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ამ რეგიონში გზის პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ამჟამად ეს გზა ნადგურდება, რადგან ოზურგეთიდან მაღალი გამავლობის მანქანების მიერ ხდება ინერტული მასალების გადაზიდვა. მოსახლეობის მოთხოვნაა დროულად იქნას ეს საკითხი მოგვარებული და გზას გაეწიოს სათანადო მოვლა-პატრონობა, რათა აღარ განადგურდეს და მოხდეს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, მოძიებულ იქნა ის ფირმა, რომლის საკუთრებაშიც არის აღნიშნული მანქანები. ფირმის ხელმძღვანელი დაბარებულია ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრაზე და საკითხთან დაკავშირებით გაცემს სათანადო პასუხს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება საკრებულოს წევრს, რადგან აღნიშნული გზის მონაკვეთი ყოველდღიურად ზიანდება და ნადგურდება. შესაბამისად, ეს საკითხი აუცილებლად დასარეგულირებელია. რაც შეეხება საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების ტრანსპორტირებას, მუნიციპალიტეტს მიმდინარე წლის განმავლობაში ამის ფინანსური საშუალება არ გააჩნია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ დაფინანსების მხრივ. საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გაჟღერდა როგორც საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ასევე ადგილობრივი პრესის საშუალებითაც. ამასთან, არც ერთი სოფლის გამოყოფა არ მოხდება, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მხრიდან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არანაირი დაპირება არ ყოფილა გაცემული.

სოფელ კოკათში სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ 15 ოჯახი დარჩენილია სასმელი წყლის გარეშე და მათ შორის არის მისი ოჯახიც. როგორც ცნობილია, გასული წლის ბოლოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი ტექ-სერვისს“ თანხა ამოწურული ქონდა, რის გამოც ვერ მოხერხდა აღნიშნული საკითხის მოგვარება, მაგრამ უახლოეს მომავალში აუცილებლად შეეცდებიან აღმოიფხვრას ეს პრობლემა. ამასთან, საჭიროა მოსახლეობა ახორციელებდეს წყლის ტუმბოს შესაბამის მოვლა-პატრონობას, რათა კვლავ არ შეექმნათ სასმელი წყლის პრობლემა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ახლოვდება გაზაფხული, ამიტომ კარგი იქნება, თუ მოსახლეობას დეპუტატებისა მიერ, პრესის საშუალებით და ასევე შესაძლებელია რაიმე ბროშურების სახით მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რომელი შხამ-ქიმიკატებით უნდა შეიწამლოს თხილის ნარგავები, რადგან მოსახლეობა ითხოვს ამის შესახებ სათანადო ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ყველა მიწის ნაკვეთი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია, შესაბამისად შეიწამლება სახელმწიფოს მიერ. როგორც გასულ წელს, ასევე მიმდინარე წელსაც მოსახლეობას დაურიგდება შესაწამლი

ნივთიერება კერძო ნაკვეთების შესაწამლად. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი პრობლემებია ამ მხრივ, რადგან სოფლებში ძალიან ბევრი მიტოვებული სახლებია. ამჟამად, როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო დონეზე მიდის ამ კუთხით მუშაობა და უახლოეს მომავალში აუცილებლად დაისახება ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის, **ლელა ჩახვაძის** თქმით, გასულ წლებში სხვა მავნებლებთან ბრძოლის დროს, როდესაც თავს იჩენდა გარკვეული სიმნელები, სამთავრობო დონეზე იქმნებოდა შტაბი და მას ხელმძღვანელობდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი, რომელიც სიტუაციიდან გამომდინარე, ჩადიოდა და ადგილზე ეცნობოდა არსებულ მდგომარეობას. საკრებულოს წევრის წინადადებით, მოწვეულ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის სამინისტროდან წარმომადგენლები და ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, რომელთაც ამ კუთხით გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, მოხდეს საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა და კონსულტაციების გავლა, რათა დაისახოს სათანადო სამოქმედო ღონისძიებები. დეპუტატის თქმით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სამმართველოს სპეციალისტი, ოლივერ გოგუაძე, რომელსაც უდავოდ დიდი გამოცდილება აქვს ამ მიმართულებით და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, გასულ წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებებში არანაირად არ ყოფილა ჩართული. არადა ასეთი სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი იმ ხარვეზების შესახებ, რომელიც შეწამვლის პროცესებს ახლდა თან.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას, რომ საქმის კურსში იქნას ჩაყენებული ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი, რათა ადგილზე იქნან მოწვეულები სოფლის მეურნეობის სამინისტროდან კომპეტენტური, სათანადო ცოდნის და გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რათა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. საკრებულოს წევრის აზრით, მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც ხელეწიფებათ, რადგან საბოლოოდ ხალხმა მათკენ არ გამოიშვიროს ხელი.

საკრებულოს წევრის, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, კარგია, რომ მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში მოქმედებს უსახლკაროთა ქირავნობის პროგრამა, მაგრამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა იზრდება. როგორც ცნობილია, სოფელი ჭინათი მდებარეობს მეწყერსაშემ ზონაში და გეოლოგების დასკვნის მიხედვით, იქ ცხოვრება არ შეიძლება. ამჟამად, ორი ოჯახი: შაქრო შაინიძის და მურმან გუნდამის ოჯახები არიან გაუსამლის მდგომარეობაში. მათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვთ სათანადო ქულები, მაგრამ რამდენიმე წელია არიან რიგში. დეპუტატმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მის მიერ ამ ოჯახებთან დაკავშირებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გაწეულ იქნას შესაბამისი შუამდგომლობა.

საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ სოფელში არის შენობები, რომლებიც იმყოფებიან ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, მაგრამ წლების განმავლობაში მოუვლელობის გამო ნადგურდებიან და ინგრევიან. მისი თქმით, არაერთხელ იყო თხოვნა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისადმი, რომ გაწიონ შუამდგომლობა ეკონომიკის სამინისტროში ასეთ შენობებთან დაკავშირებით, რათა ისინი გამოყენებულ იქნას ასეთი ოჯახებისთვის.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული ფრაქციის წესდებაში შევიდა ცვლილება და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ დაინიშნა ფრაქციის წევრი, ციცილო ჩხაიძე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

